ვამტკიცებ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი

სალომე მელია

შეთანხმებულია

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის

გენერალური მდივანი

სოფიო გვეტაძე

საჭადრაკო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი - 2023“

ღია ტურნირები 8, 10, 12 და 20 წლამდე კატეგორიებში

ქ. ბათუმი, 14-21 აგვისტო, 2023 წ.

დებულება

ორგანიზატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია;

ფინანსური მხარდამჭერი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი;

ჩატარების ადგილი: მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე.

მის: ლეონიძის 15.

1.ფესტივალი ჩატარდება შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში:

8 წლამდე ღია ტურნირი (2015 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)

10 წლამდე ღია ტურნირი (2013 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)

12 წლამდე ღია ტურნირი (2011 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)

20 წლამდე ღია ტურნირი (2003 წ. და შემდეგ წლებში დაბადებულნი)

2.ფესტივალის სათამაშო წესები:

ფესტივალზე სამართლიანი თამამის წესების დაცვა რეგულირდება დანართი 1 - ით.

ფესტივალის ყოველი ასაკობრივი კატეგორიის ტურნირი გაიმართება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად. დროის კონტროლი: 60 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. 20 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში დაითვლება ფიდე-ს რეიტინგი.

აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემასა და დროის კონტროლს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

3.რეგისტრაცია:

ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს ასაკობრივი ცენზის დაცვით.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრებს თავიანთ რეგიონალურ ფედერაციაში გადახდილი უნდა ჰქონდეთ წლიური საწევრო თანხა (24 ლარი).

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ბმული:

https://forms.gle/GK9kFfZJg6Y6i4L5A

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 13 აგვისტო, 19:00 სთ.

საკონტაქტო ელ. ფოსტა: info@acf.ge მობ: 599 069497, 558 410904

4.სატურნირო შესატანი:

13 აგვისტოს 19:00 საათამდე 40 ლარი.

რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან ტურნირის დაწყებამდე - 50 ლარი.

სოციალურად დაუცველი და შშმ პირები გათავისუფლებულნი არიან სატურნირო შესატანისგან.

სატურნირო შესატანის წინასწარი ანგარიშსწორება იწარმოებს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია

საინდ. კოდი: 245424704 ს.ს."საქართველოს ბანკი"

ანგარიშის № GE95BG 0000 000 363 099 200

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

5.ფესტივალის განრიგი:

ჩამოსვლის დღე	14 აგვისტო	
გახსნა	15 აგვისტო	14:00
I ტური	15 აგვისტო	15:00
II ტური	16 აგვისტო	14:00
III ტური	17 აგვისტო	14:00
IV ტური	18 აგვისტო	14:00
V ტური	19 აგვისტო	14:00
რეიტინგ ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში 8,10,12 წლამდე კატეგორიებში	19 აგვისტო	17:00
VI ტური	20 აგვისტო	14:00
ღია რეიტინგ ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში	20 აგვისტო	17:00
VII ტური	21 აგვისტო	12:00
დახურვა	21 აგვისტო	16:00

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორგანიზატორი უფლებამოსილია მოახდინოს ტურის დაწყების დროის (საათი) შესაბამისი კორექტირება.

6. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;

5. მოგებების რაოდენობა.

7.პრიზები:

ყველა ასაკობრივ კატეგორიაში დაჯილდოვდება გამარჯვებული ხუთეული, ასევე, გამოიყოფა საუკეთესო 3 ადგილი გოგონათა შორის. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით, აგრეთვე პირველი სამეული - მედლით, ჩემპიონები კი - თასით;

- თუ გოგონა დაიკავებს საპრიზო ადგილებს როგორც ღია, ასევე გოგონათა კატეგორიაში, მას გადაეცემა უმაღლესი ადგილის პრიზი.

- ტურნირის განმავლობაში გაიმართება საჭადრაკო ვიქტორინა და დაწესებული იქნება სხვადასხვა სპეციალური პრიზები;

- პრიზებისა და საჩუქრების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

8.მწვრთნელთა კონკურსი

მწვრთნელთა კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია, რომ ფესტივალის ტურნირებში თამაშობდეს მინიმუმ მისი 3 მოსწავლე და მწვრთნელი იმყოფებოდეს ტურნირზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მწვრთნელებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ მე-3 ტურის დაწყებამდე.

ღია ტურნირებში 1-5 ადგილზე და გოგონათა შორის 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეების მწვრთნელების ქულათა შედეგების შეჯამება მოხდება შემდეგი პრინციპით:

(მოსწავლის მიერ ორ ნომინაციაში გამარჯვების შემთხვევაში, მწვრთნელს ჩაეთვლება უმაღლესი ადგილის ქულა)

I ადგილი - 10 ქულა

II ადგილი - 8 ქულა

III ადგილი - 6 ქულა

IV ადგილი - 4 ქულა

V ადგილი - 2 ქულა

ქულათა რაოდენობის მიხედვით გამარჯვებული 5 მწვრთნელი დიპლომთან ერთად დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრით.

9.საერთო წესები:

ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეწერება წაგება. ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

10. მონაწილეთა მიღება:

მონაწილეთა და წარმომადგენელთა ცხოვრების, კვების და გზის თანხას იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

19 და 20 აგვისტოს, ასევე გაიმართება ღია რეიტინგ ტურნირები ელვისებურ ჭადრაკში.

დასაწყისი 17:00 სთ.

19 აგვისტოს გაიმართება ღია ბლიც ტურნირი 8,10 და 12 წლამდე კატეგორიებში;

20 აგვისტოს - ღია ბლიც ტურნირი.

ტურნირი ჩატარდება ფიდეს წესებით 7 ტურად. დროის კონტროლი: 3 წუთი 2 წამის დამატებით.

აუცილებლობის შემთხვევაში, რეიტინგის დათვლას, ტურნირის ჩატარების სისტემას და დროის კონტროლს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

ბლიც ტურნირის სატურნირო შესატანია 10 ლ.

ბლიც ტურნირის პრიზები:

ასაკობრივ ტურნირებში გამარჯვებული სამეული დაჯილდოვდება სიგელით, მედლითა და ფასიანი საჩუქრით, ასევე სამივე ასაკში გამოიყოფა 1 საუკეთესო შედეგის მქონე გოგონა. ჩემპიონს ასევე გადაეცემა თასი.

ღია ბლიც ტურნირში გამარჯვებული სამული დაჯილდოვდება სიგელით და მედლით, ჩემპიონი ასევე თასით. ტურნირში ასევე გამოიყოფა 1 გამარჯვებული გოგონათა შორის.

ფულადი ჯილდო:

(პრიზები დაიქვითება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად)

- I ადგილი - 300 ლ.

- II ადგილი - 200 ლ.

- III ადგილი - 150 ლ.

- I ადგილი გოგონათა შორის - 150 ლ.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი,

საერთაშორისო დიდოსტატი - სალომე მელია

მთავარი მსაჯი: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი,

ფიდეს არბიტრი - ლეონიდ ნეურონოვი